პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 27 სექტემბერი, 1944 წ. № 196 (7149). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

რაიკომი და ერთეული კომუნისტები. მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 26 სექტემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
კავკასიის დამცველებთან (1-ლი გვერდი).
განთავისუფლების პარიზის კომიტეტის მისალმება საბჭოთა კავშირისადმი (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცრილობა ... (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები: საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში. ... ლები იუგოსლავიაში; იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ახალი გამარჯვება. ამერიკის ავიაციის თავდასხმა მანჯურიაზე. მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება. ფრანკის მოკვლის ცდა. არჩევნების წინ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში (მე-2 გვერდი).

რაიკომი და ერთეული კომუნისტები

ერთეული კომუნისტები სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე დიდ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან. ისინი რაზმავენ მშრომელთა ფართო მასებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად.

ცხადია, ერთეული კომუნისტი მით უფრო ნაყოფიერად იმუშავებს, მით უფრო კარგად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანას, რაც უკეთესად უუხელმძღვანელებთ, რაც მეტ დახმარებას გავუწევთ მას.

რა დახმარება ესაჭიროება ერთეულ კომუნისტს?

პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან განსხვავებით, ხადაც საკითხებს იხილავს და სწყვეტს პარტიული კოლექტივი, ერთეულ კომუნისტს დამოუკიდებლად უხდება მთელი რიგი სამეურნეო და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის საკითხების გადაჭრა. მაგრამ იმისათვის, რომ ერთეულმა კომუნისტმა შესძლოს სწორად გადასჭრას საკითხები და დარაზმოს მასები პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად, მან უნდა შეჰქმნას უპარტიო აქტივის მტკიცე ბირთვი. სწორედ ამ საქმეში უნდა დაეხმაროს ერთეულ კომუნისტს რაიკომი, მისი ინსტრუქტორები.

პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სერიოზული სკოლაა. პარტიის რაიონული კომიტეტი რეგულარულად უნდა ატარებდეს ერთეული კომუნისტების რაიონულ კრებებს აქტუალური საკითხების განსახილველად, გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის. აუცილებელია ეს კრებები გულდასმით მოვამზადოთ, ღღის წესრიგში გავითვალისწინოთ ის საკითხები, რაც ერთეულ კომუნისტს აინტერესებს, ადრევე ვაცნობოთ თვითეულ ამხანაგს კრების მოწვევის დრო, ადგილი და განსახილველად წამოყენებული საკითხები. მიზანშეწონილია პარტიულ კრებებს ატარებდეს ერთიდაიგივე ამხანაგი — რაიკომის ერთ-ერთი მდივანი, რაც საშუალებას მისცემს მას უკეთ შეისწავლოს ერთეული კომუნისტები და ხელი შეუწყოს მათს ზრდას. საჭიროა ხშირად ეწყობოდეს რაიკომის პირველი მდივნის პირადი საუბარი ერთეულ კომუნისტთან. რაიონული კომიტეტი ერთეულ კომუნისტებს სისტემატურად უნდა აძლევდეს პარტიულ დავალებებს და ამოწმებდეს მათ შესრულებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი ხშირად ისმენს ბიუროზე ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის ცალკეულ საკითხებს, გამოაქვს დადგენილებანი და ახორციელებს მათ. ამით აიხსნება, რომ აქ ერთეული კომუნისტების დიდი ნაწილი კარგად მუშაობს. მაგრამ ყველგან ასე როდია. საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომს შარშან და წელს ბიუროზე ერთხელაც არ განუხილავს ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის საკითხი, ხოლო თელავის რაიკომმა ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი დადგენილება გამოიტანა, რომლის განხორციელებაც არავის შეუმოწმებია.

ერთეულ კომუნისტს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა აკისრია დაწესებულებაში, სადაც იგი მუშაობს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სადაც ერთეული კომუნისტი არის, იქ არ უნდა ვიზრუნოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციის შექმნისათვის. ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ საწარმო-დაწესებულებასა და კოლმეურნეობაში გვქონდეს პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ვინაიდან პარტიული კოლექტივი უკეთ უზრუნველჰყოფს ადგილზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას.

მაშასადამე, საჭიროა ვასწავლოთ ერთეულ კომუნისტებს, თუ როგორ მოაწყონ პარტიის რიგებში მოწინავე ადამიანების მოზიდვა, და კონკრეტულად დავეხმაროთ მათ ამ საქმეში. ზოგიერთი ერთეული კომუნისტი პარტიაში შემომსვლელს რეკომენდატორების მოძებნაში სათანადო დახმარებას ვერ უწევს ამ მოტივით, რომ დაწესებულებაში მის გარდა არ არის კომუნისტი, რომელიც ერთად მუშაობით იცნობდეს პარტიაში შემომსვლელს. ასეთი მოტივი უსაფუძვლოა, რადგან რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ კოლმეურნეობებთან, მტს-ებთან, სოფლის საბჭოებთან, შეუძლიათ მისცენ რეკომენდაცია იმ კოლმეურნეებსა და სოფლის სხვა მუშაკებს, რომელთა მუშაობასაც ისინი იცნობენ, იციან მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებები და დარწმუნებული არიან იმაში, რომ ისინი ღირსნი არიან პარტიის რიგებში მიღებისა.

ერთეულ კომუნისტთა რიცხვი ბევრგან ხელოვნურად არის გადიდებული. მაგალითად, ქარელის რაიონში კეხიჯერის სოფლსაბჭოში შეიძლება შეიქმნას საკანდიდატო ჯგუფი, სადაც გაერთიანდებოდნენ ამხ. ე. ბესტაევი, გ. ჭაბუკაშვილი და ე. მდინარაძე, რომლებიც დღემდე ერთეულ კომუნისტებად ითვლებიან. პარტიის წევრკანდიდატთა არსებული რაოდენობა სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ საკანდიდატო ჯგუფები შეიქმნას აგრეთვე ალავერდის კოლმეურნეობაში და თელავის „რაიაბრეშუმის“ განყოფილებაში. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა იცოდნენ თვითეულ კოლმეურნეობაში, საწარმო-დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა და სადაც შესაძლებელია შეჰქმნან საკანდიდატო ჯგუფები.

საკუთარი იდეურ-თეორიული მოამზადების ამაღლებისათვის ზრუნვა კომუნისტის საწესდებო მოვალეობას შეადგენს. ერთეული კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან მათს უდიდეს უმრავლესობას ახალგაზრდა კომუნისტები შეადგენენ. მაგალითად, საქართველოს საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში მომუშავე 3.859 ერთეული კომუნისტიდან 1.177 კაცი პარტიის წევრობის კანდიდატია.

რას ნიშნავს სწორად მოვაწყოთ ერთეული კომუნისტების სწავლება?

ეს იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, კარგად ვიცნობდეთ ერთეულ კომუნისტებს მათი იდეურ-თეორიული მოამზადების მიხედვით, რათა გავარკვიოთ მათი პოლიტიკური სწავლების ფორმები, მეორე, სისტემატურად ვეხმარებოდეთ მათ კონსულტაციებით, ლექციებითა და საუბრებით და, მესამე, უზრუნველვყოთ წრეობრივი სწავლება იმ ერთეული კომუნისტებისა, რომელთაც დაბალი განათლება აქვთ და არ შეუძლიათ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლა.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვთ. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომში მოწვეული ერთეული კომუნისტების თათბირის შესახებ.

ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება, აქტიურად ჩავაბათ ერთეული კომუნისტები პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, დაუღალავად ვიზრუნოთ მათი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის — ასეთია ამოცანა.

ქრონიკა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. ბეჟან ალექსანდრეს-ძე ჩხეიძე დანიშნა საქართველოს სსრ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

26 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ ტალინის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის დაქსაქსული ჯგუფებისაგან ესტონეთის დასავლეთ სანაპიროს გასაწმენდად და ამასთან დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **კლოგა-რანდი, კურქსი, ალიკლეპა, როზელეპა, ლინამიაე, რიდალა, ტურე, კუისე, ხაესკა, მარტნა, სილა, ლაიკიული, მიხკლი** და რკინიგზის სადგურები **რიზიპერე, ელამა, რისტი, ტაბგლა, პალიმერე, ვიგალა, როტსი.**

რიგის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, დაიკავეს ქალაქები **აინაჟი, სალაცგრივა, ალოია, ლიმბაჟი, ცესისი,** აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **სვიციემსი, ასტერე, უმფარგა, სტალგე, აუცლემსი, სერგუჟში, იაუნკილსი, მადლიენა** და რკინიგზის სადგურები **ალოია, აუსეკლინი, კუიტელე, კალე, სტაიცელე, ზონეპე, აინაჟი, ცესისი, რამული, ამატა.**

ქალაქ **სანოკის** სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა მთიან და ტყიან ადგილას გადალახეს მტრის წინააღმდეგობა და საინჟინრო დაბრკოლებანი, ბრძოლებით დაიკავეს დროგობიჩის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი და რკინიგზის სადგური **ტურკა,** დასახლებული პუნქტები **რადოშიცე, ოსლავიცა, სმოლნიკი, ცარინსკე, ბერეზეკი, დიდეკა, ბოგბერკა, იასენიცა-ზამკოვა, იავორა.**

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები წარმოებდა.

25 სექტემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 49 თვითფრინავი.

* *
*

რიგის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც რიგის ყურის სანაპიროს გასწვრივ მიიწევდნენ, დაიკავეს ქალაქები აინაჟი და სალაცგრივა. ჩვენმა სხვა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ალოია, ქალაქ ვალმიერის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის შუალედი თავდაცვითი ზღუდე და ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მიადგნენ ქალაქ ცესისს — გერმანელთა თავდაცვის მძლავრ დასაყრდენ პუნქტს. მოწინააღმდეგემ თავისი დაჯგუფება გააძლიერა სს-ელთა მოტორიზებულ დივიზია „ნიდერლანდით“, აგრეთვე საავიაციო სკოლის კურსანტთა ქვეგანაყოფებით, რომლებიც ამას წინათ ჩამოვიდნენ გერმანიიდან. მაგრამ გერმანელთა ყველა ცდა თავიანთ ხელში შეენარჩუნებინათ ცესისი — მარცხით დამთავრდა. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და იერიშით დაიკავეს ქალაქი ცესისი. გერმანელები განდევნილი არიან აგრეთვე ფსკოვ-რიგის გზატკეცილთან მდებარე მრავალი დასახლებული პუნქტიდან. ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. მარტო ერთმა ჩვენმა შენაერთმა გერმანელებს წაართვა 40 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 30 ავტომანქანა და 100 საზიდარი ტვირთიანად.

ქალაქ რიგის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს ძლიერ გამაგრებული პუნქტი მადლიენა, რომელიც ქალაქ რიგის აღმოსავლეთით 60 კილომეტრზე მდებარეობს.

ჩვენი ავიაცია აქტიურად ეხმარებოდა საჰაერეთო არმიების შეტევას და ურტყამდა მოწინააღმდეგის ჯარებს, რომლებიც რიგისაკენ იხევდნენ. საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს რამდენიმე საარტილერიო ბატარია, 200-მდე ავტომანქანა და აიფოთქეს გერმანელთა სამხედრო ეშელონი. საჰაერო ბრძოლებში დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 29 ავიაგამანადგურებელი.

* * *

ქალაქ სანოკის სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილები, რომლებიც მთის გზით ბიიწევდნენ წინ, გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტებს რადოშიცეს, ოსლავიცასა და სმოლნიკს, რომლებიც პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის საზღვრიდან 2-6 კილომეტრზე მდებარეობენ, და გაანადგურეს მათი გარნიზონები. მოსახლეობილია 800-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 23 ქვემეხი, 47 ნაღმსატყორცნი, 72 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკვლა. ქალაქ სანოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა მსროლელმა ნაწილებმა, არტილერიისა და ავიაციის დახმარებით, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ზღუდე, რომელიც გადის პოლონინა ვეტლინსკას მთიანი ქედის ფერდობებზე. ტყვედ წამოყვანილია 300-ზე მეტი ჰიტლერელი. სხვა შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც სძლევდნენ გერმანელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს 15 კილომეტრით და დაიკავეს დროგობიჩის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ტურკა.

* * *

საჰაერო მზვერავმა უფროსმა ლეიტენანტმა სეატჩენოკმა სადგურ შტალუპენენზე (აღმოსავლეთ პრუსია) აღმოაჩინა მოწინააღმდეგის 5 სარკინიგზო ეშელონი. 12 მოიერიშე თვითმფრინავი ლეიტენანტ სუხოვოლკისა და გვardიის უფროს ლეიტენანტ ივჩენკოს მეთაურობით ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხა სადგურს. მფრინავებმა გერმანელთა ეშელონებს ბომბები დააყარეს, ხოლო შემდეგ ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები დაუშინეს. გაისმა რამდენიმე ძლიერი აფეთქების ხმა. მალე ხანძარი სადგურის მთელ ტერიტორიას მოედო. იწვოდა და ფეთქებდოდა ბენზინის ცისტერნები და საომარი მასალების ვაგონები.

* * *

რუმინეთში გერმანელთა 25 ბომბდამშენი ცდილობდა თავს დასხმოდა ჩვენს ერთ-ერთ აეროდრომს. საბჭოთა 8 ავიაგამანადგურებელმა კაპიტან ბრიტიკოვის მეთაურობით გზა გადაუჭრა მტრის თვითმფრინავებს და იერიში მიიტანა მათზე. გაფთრებულ საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა მფრინავებმა 5 ბომბდამშენი ჩამოაგდეს. მოწინააღმდეგის დანარჩენმა თვითმფრინავებმა ვერ მიაღწიეს სამიზნეს და უკან გაბრუნდნენ.

* * *

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ხომალდებმა ფინეთის ყურეში მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავი ჩასძირეს.

ფლოტის ტორპედოსანმა ავიაციამ ბალტიის ზღვაში ჩასძირა გერმანელთა ორი ტრანსპორტი 7 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა.

საბჭოთა ჭექნიკის თვალსაჩინო მიღწევა

ორ წელზე მეტი ხნის წინათ მოსკოვსახლო ბასეინში აღდგენილ იქნა ქვანახშირთა მიწისქვეშა გაზიფიკაციის საცდელ-სამრეწველო სადგური, რომელიც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დაანგრიეს, ამ სადგურში მსოფლიოში პირველად სწარმოებს გადაჭრა ქვანახშირთა უშახტო მიწისქვეშა გაზიფიკაციის ურთულესი ტექნიკური პრობლემისა. ამ წესის დროს საჭირო არ არის ქანების არავითარი გამომუშავება, სრულიად ზედმეტი ხდება მეშახტეთა მძიმე შრომა მიწის ქვეშ. ქვანახშირის ფენის მომზადება, მისი ანთება და გაზიფიკაციის თვით პროცესი ხორციელდება ზედაპირიდან ჭაბურღილების საშუალებით.

ქვანახშირთა უშახტო გაზიფიკაციის დროს არა მარტო უაღრესად უმსუბუქდება შრომა ადამიანს, არამედ მნიშვნელოვან ეკონომიასაც ვაღწევთ. მოსკოვსახლო სადგურში გაზის უშუალო წარმოებაზე მუშაობს სულ რამდენიმე კაცისაგან შემდგარი მომსახურე პერსონალი. იმ საწარმოებში, რომლებიც მიწისქვეშა გაზის მომზადებლები არიან, წარმოების სხვა უბნებისათვის განთავისუფლდა ბევრი მუშახელი, რომელიც წინათ მაგარი სათბობის ტრანსპორტირებასა და მომზადებაზე და ნაცრის გატანაზე მუშაობდა.

სადგურის ექსპლოატაციის ორ წელზე მეტი ხნის გამოცდილება მოწმობს საბჭოთა ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევას. იქმნება ქვანახშირთა უშახტო მიწისქვეშა გაზიფიკაციის ფართოდ განვითარების პერსპექტივა. (საკდესი).

ბოროდინოს მუზეუმი აღდგენილია

აღდგენილია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანგრეული ბოროდინოს სამხედრო-ისტორიული მუზეუმი. შენობა ძველი სახით არის რესტავრირებული. უკანვე მიზიდულ იქნა ყველაზე ძვირფასი ექსპონატები — კუტუზოვის ეტლი, 1812 წლის სამამულო ომის დროინდელი რუსთა არმიის იარაღი და ჩაცმულობა, ცნობილი ოსტატების სურათები, გრავიურები და ნახატები, ბოროდინოს ველზე მომხდარი ბრძოლის მონაწილეთა პორტრეტები.

ამჟამად მუზეუმი მნიშვნელოვნად არის შევსებული. მუზეუმს დამატება განყოფილებანი, რომლებიც ასახავენ მოსკოვისათვის 1941-42 წლებში წარმოებული ბრძოლის ყველაზე მკაფიო მომენტებს. დიდ ინტერესს იწვევენ დოკუმენტები, გეგმები, მხატვრული ნაწარმოებები და ნადავლი, რომლებიც ამ პერიოდს ეკუთვნიან. (საკდესი).

კავკასიის დამცველებთან

საზეიმოდ მოურთავთ პლეხანოვის სახელობის კლუბი.

საამური საღამოა, ბაღში ზღვა ხალხია. ჩვენი სახელოვანი ტრანსპორტელები ჯგუფ-ჯგუფად შემოდიან გაჩირაღდნებული თეატრის დარბაზში და ადგილებს იკავებენ. სცენაზე, წითელი დროშების ფონზე, ელნათურები დაჰკაშკაშებენ ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელთა სურათებს.

დარბაზი თანდათან ივსება. აქ არიან მეჭედლები, ზეინკლები, ურისდამრტყმელები, ინჟინრები, ვაგონებისა და ორთქლმავლების მკურნალები, რომლებიც სჭედდნენ მტერზე გამარჯვებას.

26 სექტემბერი ბედნიერი დღეა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივისათვის. ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად შეაფასეს მისი ამაგი ვერაგ მტერთან — ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში. დღეს ამ კოლექტივის საამაყო ადამიანები იბარებენ მედლებს „კავკასიის დაცვისათვის“.

საზეიმო სხდომას ხსნის სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. დ. ცირეკიძე.

კრება მქუხარე ტაშით და ხანგრძლივი ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს დიდ ბელადსა და გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს,** ამხანაგებს **მოლოტოვს, კალინინს, ვოროშილოვს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, მალენკოვს, შჩერბაკოვს, ვოზნესენსკის, ჩარკვიანს.**

პრეზიდიუმში სხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი გ. სტურუა, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. იმხანოვი და ე. ჩერქეზია, მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. გოჩაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ხუჯაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. თ. ქვლივიძე, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექტორი ამხ. დ. ჭიჭინაძე და სხვები.

მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ ამ სახელოვანი ქარხნიდან დაჯილდოებულია 325 კაცი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. შ. ბაქრაძე აქვეყნებს დაჯილდოებულთა გვარებს. სცენაზე რიგრიგობით გამოდიან ჩვენი სახელოვანი ზურგის საამაყო ადამიანები, ომის დროის სტახანოველები: სინჯიკაშვილი, ზაალიშვილი, გვილავა, გრძელიშვილი, ხუბულური, ილურიძე, ქსოვრელი, ნადირაძე, მასხულია, გოცირიძე და სხვები.

ამხ. გოჩაშვილი დაჯილდოებულებს აბარებს კოხტად მოვარაყებულ მედლებს, მაგრად ართმევს ხელს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს მუშაობაში.

მედლების ჩაბარების შემდეგ ამხ. გოჩაშვილმა ქარხნის კოლექტივს მიმართა სიტყვით, რომელშიც მოუწოდა ამ დამსახურებული ჯილდოს საპასუხოდ ახალი ენერგიით გაშალონ მუშაობა და მისცენ ფრონტს მეტი ორთქლმავლები და ვაგონები, მეტი დახმარება გაუწიონ წითელ არმიას ვერაგი მტრის საბოლოო განადგურების საქმეში.

კავკასიის ბრწყინვალე დაცვას, რამაც ასეთი საამაყო ჯილდო მოუპოვა ჩვენს სახელოვან ტრანსპორტელებს, — აღიხადებს ამხანაგი გოჩაშვილი, — ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს** და საუკეთესო სტალინელს ამხანაგ ლავრენტი **ბერიას,** რომელმაც ბრწყინვალედ განახორციელა კავკასიის მისადგომებთან მტრის შეჩერებისა და განადგურების სტალინური გეგმა.

მთელი დარბაზი ტაშის გრიალით და ხანგრძლივი ოვაციით ხვდება დიდი ბელადის სტალინის სახელის ხსენებას. ტაშის დაუსრულებელი გრიალი და ოვაცია იმართება ამხანაგ ლავრენტი ბერიას პატივსაცემად.

საამწყობო საამქროს კომპლექსური ბრიგადის უფროსის მოადგილე ამხ. ბუდეშტსკი კისრულობს ახალ ვალდებულებას — გეგმის ზევით გამოუშვას ერთი ორთქლმავალი, შეამციროს თვითღირებულება 5 პროცენტით და ამდენივე პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება.

დასასრულ სიტყვით გამოდის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექტორი ამხ. დ. ჭიჭინაძე. იგი მოუწოდებს ქარხნის კოლექტივს ჯილდოს საპასუხოდ გაორკეცოს მუშაობა, რაც შეიძლება მეტი ორთქლმავალი, ვაგონი და სხვა პროდუქცია მისცეს ფრონტსა და სამშობლოს და ამით მოაახლოოს მტრის საბოლოო განადგურების სანატრელი ჟამი.

განთავისუფლების პარიზის კომიტეტის მისალმება საბჭოთა კავშირისადმი

პარიზი, 26 სექტემბერი. (საკდესი). განთავისუფლების პარიზის კომიტეტმა საბჭოთა ხალხს მიმართა მისალმებით, რომელშიც ნათქვამია, რომ საფრანგეთი არასოდეს არ დაივიწყებს ძირითად როლს, რაც საბჭოთა კავშირმა შეასრულა საფრანგეთის განთავისუფლებაში. სისხლისმღვრელი ბრძოლების სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა მოჰქანცა გერმანელთა არმია, მთელ ფრონტზე კავკასიიდან თეთრ ზღვამდე პირველი გამოუსწორებელი დამარცხებანი და ზარალი მიაყენა მას და ამით მოკავშირეებს შესაძლებლობა მისცა მოემზადებინათ თავიანთი დარტყმები. საფრანგეთი, რომელიც თავისი ხალხის მიერ გაწეულმა წინააღმდეგობამ იხსნა, არ დაივიწყებს იმას, რომ რუსეთმა ჯეროვნად შეაფასა ფრანგთა წინააღმდეგობა და რომ მისი პრესა ქებადიდებით იხსენიებდა ფრანგ პატრიოტთა სიმამაცეს.

თავისი კულტურული ზრდითა და თავისი სახელით ამაყმა საფრანგეთმა, ნათქვამია შემდეგ მისალმებაში, იცის, რომ საბჭოთა რუსეთი მუდამ სცემდა პატივს საფრანგეთის მოაზროვნეებსა და ხელოვანთ და აღნიშნავდა მისი ისტორიის ყველა დიდ მოვლენას, რომ საბჭოთა რუსეთი საფრანგეთის კულტურას აკუთვნებს იმ ადგილს, რომელიც მას სამართლიანად უნდა ეკავოს ხალხთა საერთო საგანძურში. შეგნებული აქვს რა თავისი ინტერესები, საფრანგეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დარჩეს დიდ სახელმწიფოთა რიგებში. მან იცის, რომ არასოდეს არ არსებობდა ნამდვილი კონფლიქტები საფრანგეთის ინტერესებსა და რუსეთის ინტერესებს შორის და რომ ამ ორი ერის მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელია მათი უშიშროების მიზნისათვის, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობიანობის მიზნისათვის. პარიზი უძღვნის მოსკოვს თავისი მხურვალე მეგობრობის გრძნობას.

ნავთის პირველმა შახტამ აითვისა საპროექტო სიმძლავრე

შორეულ ჩრდილოეთში, იარეგის სამადონი აგებულმა საბჭოთა კავშირში ნავთის პირველმა შახტმა საპროექტო სიმძლავრეს მიაღწია. გეგმის გადაჭარბებით უკვე მოპოვებულია 3 ეშელონი ნავთი. ვადამდე შესრულებულია საბურღავ სამუშაოთა წლიური გეგმა. (საკდესი).

მედლების „კავკასიის დაცვისათვის“ გადაცემა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მოწინავე ადამიანებისათვის.
სურათზე: 1. პრეზიდიუმში: დ. ჭიჭინაძე, გ. სტურუა, ს. იმხანოვი, დ. ცირეკიძე, ე. ჩერქეზია. 2. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. გოჩაშვილი ორდენოსან ხარატს ი. ხაჟალიას აბარებს მედალს „კავკასიის დაცვისათვის“. 3. სხდომის დარბაზში.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მეშახტეები პარტიაში შედიან

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. რ. სადუნიშვილი) წელს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრად მიიღო 9 კაცი, პარტიის წევრობის კანდიდატად—27 კაცი. პარტიაში ახლად მიღებულებიდან 2 სამთო ინჟინერია, 8—ქვანახშირის მნგრეველი, 7 მებიგე და 5 მტვირთავი.

პარტიაში მიღებული არიან სემიოლოსელი მნგრეველები: ივანიჩენკო და კრასნოგოლოველი. პირველს 1944 წლის 7 თვის დავალება 264 პროცენტით აქვს შესრულებული, ხოლო მეორეს — 321 პროცენტით. ამხ. ნ. კრასნოგოლოველი 4 თვეა ზედიზედ ინარჩუნებს ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის საუკეთესო მნგრეველის სატიტო სახელწოდებას. მოწინავენი არიან აგრეთვე პარტიაში ახლად მიღებული ამხანაგები: ა. ფორჩხაძე, მ. გაბელაშვილი, დ. ცხადაძე, შ. გაბრიაძე, ი. კუბლაშვილი, კ. ხაშიპერიძე, ვ. კუბლაშვილი და სხვ.

ლენინის სახელობის შახტის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ი. იოსელიანი) 1944 წლის განმავლობაში პარტიის წევრობის კანდიდატად 18 მეშახტე მიიღო. ახალგაზრდა მტვირთავი ალ. წკეპლაძე, რომელიც მიღებულია კანდიდატად, ყოველდღიურად გეგმას 300 პროცენტით ასრულებს. კარგი საწარმოო მაჩვენებლისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის იგი სამი თვეა ინარჩუნებს ტრესტის საუკეთესო მტვირთავის სახელწოდებას.

შახტებისა და საამქროების პარტორგანიზაციებმა მკვეთრად გაუმჯობესეს პარტიაში ახლად მიღებულებთან მუშაობა.

ლენინის სახელობის შახტის პარტორგანიზაციამ პარტიაში ახლად მიღებულებს ვ. ექსეულიძეს და ა. მოისტროფიანს აგიტატორობა დაავალა, ისინი ამ დავალებას კარგად ასრულებენ.

სტალინის სახელობის შახტში პარტიაში ახლად მიღებულებიდან 19 კაცი გამოყოფილია აგიტატორად და წამკითხველ-მესაუბრედ. შახტის საუბნო და საამქრო პარტორგანიზაციების მდივნები სისტემატურად ეხმარებიან მაღ დავალების შესრულებაში, აძლევენ მითითებებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიაში ახლად მიღებულნი დიდი ინტერესით მეცადინეობენ თავიანთი ცოდნის დონის ამაღლებისათვის. შახტებში ჩამოყალიბებულია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ და პარტიის პროგრამისა და წესდების შემსწავლელი წრეები, რომლებშიც გაერთიანებული არიან ახალგაზრდა კომუნისტები.

სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე პარტიაში ახლად მიღებულთა ლექციო-კონსულტაციებზე დასწრებას. ახალგაზრდა კომუნისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თეორიული კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში.

პარტიაში მიღების საკითხს ყურადღებას არ აქცევს გელათის მაღაროს პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი ბ. კობახიე). ამ მაღაროში ბევრია მოწინავე ადამიანი, მაგრამ მათი მომზადებისათვის პარტიაში მისაღებად არავითარ მუშაობას არ ატარებენ.

შახტებში ჯერ კიდევ არიან სტაგადაცილებული კანდიდატები. მაგალითად, ლენინის სახელობის შახტში საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის რვა კანდიდატს კარგი ხანია საკანდიდატო სტაჟი შეუსრულდა, მაგრამ პარტიული ორგანიზაცია არ დაინტერესებულა დახმარებოდა მათ პარტიის წევრად მიღებაში. სუსტია აგრეთვე უპარტიო აქტივთან მუშაობა.

საჭიროა ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის შახტების პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოასწორონ ეს ნაკლოვანებანი და საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიიღონ მოწინავე, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ბოლომდე ერთგული ადამიანები.

ძლენია ბიორგაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

მოწინავე აგიტატორი

ჩხარი („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ჩატარდა აგიტატორების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისა და პოლიტგანათლების მუშაკთა რაიონული თათბირი. თათბირის მოკლანა იყო საგიტაციო-საპრაგანდო მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

თათბირზე გამოვიდნენ მოწინავე აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები: ამხ. ა. ჯაფარიძე, ა. მემანიშვილი, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები: ამხ. კ. ქურციკიძე, ე. ლომთათაძე და ლ. ჩუბინიძე, აგიტატორები: ამხ. გ. გაბრიჩიძე და ვ. რობაქიძე.

თათბირმა განსაკუთრებული ინტერესით მოისმინა სოფელ გოგნის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორის მასწავლებელ გ. გაბრიჩიძის გამოსვლა. მეოთხე ბრიგადა, სადაც ამხ. გაბრიჩიძე ეწევა აგიტაციას, ერთ-ერთი მოწინავეა მთელ რაიონში. ბრიგადამ თესვა ვადაზე 21 დღით ადრე დაამთავრა. ასევე ვადამდე მოათავეს სიმინდის ნათესების პირველი და მეორე თოხნა. ამჟამად ბრიგადაში არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნე არ არის.

აგიტატორის თაოსნობით ახლა ბრიგადაში ყოველი თვის ბოლოს წონიან ბრიგადის წევრებზე გაპირობებულ პირუტყვს, იმოწმებენ მთის მოვლას. აგიტატორი გაბრიჩიძე შემოწმების შედეგებს კოლმეურნეებს აცნობს. ამან კარგი შედეგი მოგვცა. პირუტყვი საუკეთესოდ არის მოვლილი. აგიტატორის ინიციატივით ორ-სამ დღეში ერთხელ გამოდის საველე გაზეთი, სადაც მოწინავე კოლმეურნეებს პატივისცემით იხსენიებენ და მათს გამოცდილებას გადმოსცემენ, ხოლო ჩამორჩენილებს აკრიტიკებენ.

აგიტატორი საუბრისათვის წინასწარ ემზადება, არჩევს სასაუბრო თემებს, ადგენს კონსპექტებს. საუბრის დროს მას თან აქვს რუკა, საგაზეთო მასალები, ცნობები ბრიგადის თვითეული წევრის მუშაობის შესახებ. აგიტატორმა არდადეგების პერიოდში კოლმეურნეობა მხარდამხარ ფიზიკური შრომით 92 შრომადღე გამოიმუშავა. ამხ. გაბრიჩიძე იცნობს ბრიგადის წევრებს, მათ ხასიათს, საყოფაცხოვრებო პირობებს და ეხმარება მათ, იჩენს მათდამი მზრუნველობას. ამიტომ კოლმეურნეებს უყვართ იგი, უჯერებენ და აფასებენ მას.

თათბირმა ამხ. გაბრიჩიძის მუშაობა მოიწონა.

დ. კაჭკაჩიშვილი

მეცხოველეობის საკითხი რაიკომის პლენუმზე

ცაგერი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). 1944 წლის 1 ივლისისათვის რაიონში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაზით შესრულებული იყო 101,7 პროცენტით, თხისა—106,8 პროცენტით, ღორისა—139,7 პროცენტით. ამ მხრივ კარგად იმუშავეს სოფელ ალპანის, ჩხუტელის, ქვემო ლუხვანოს კოლმეურნეობებმა.

მაგრამ რაიონმა ძროხის სულადობის ზრდის გეგმა შეასრულა მხოლოდ 94 პროცენტით, ხარისა—94,8 პროცენტით, ხოლო დედა-თხისა—84,5 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩა სოფელ ხოჯის კოლმეურნეობა, რომელსაც მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებული აქვს 86,6 პროცენტით. ჩამორჩნენ აგრეთვე სოფელ ოფიტრის, ზემო ლაჯანის, ოყურეშის, ზემო სურმუშის, ლეშკედის, ქულბაქის, ლაჭებიტის და ქვემო აღვის კოლმეურნეობები.

ცუდი მოვლის გამო ფერმებში პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია. 1943 წელს ერთ-ო საფურაქე ძროხის საშუალო წველადობა 15-ჯერ შეადგენდა, თხისა—20-ჯერ ლიტრს. ეს მდგომარეობა ზოგან წელსაც მეორდება. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია მიღებული რძისა და ყველის ზუსტი აღრიცხვა. ფერმების ნაწილში ცუდად არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია. ფერმის მუშაკებს შრომადღეები ეწერებათ საწარმოო დავალებისა და შესრულებული სამუშაოს განურჩევლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის პლენუმმა ამ დღეებში სპეციალურად განიხილა რაიონში მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა. პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გ. უურაშვილი

თესვა გაჩაღდა

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. წარმატებით მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა-თესვა. სოფელ ხვითის კოლმეურნეობაში 344 ჰექტარიდან უკვე დათესილია 60 ჰექტარზე მეტი. თესვის დღიურ ნორმებს დიდი გადამეტებით ასრულებენ კოლმეურნეები გ. მეგრელიშვილი, ალ. ნიკურაძე, ლ. დაკოშვილი და სხვ. თესვა კარგად მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ ზერტის, ფხვენისის, ზემო და ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობებში.

ამ დღეებში გორში ჩატარდა სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მტს-ების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თათბირი, რომელმაც განიხილა საშემოდგომო თესვის მიმდინარეობისა და მინდვრის თაგვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

შ. ჩუბინიძე

ხვნის გეგმები წარმატებით სრულდება

ქლუხორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებში გაჩაღებულია მუშაობა სათესი ფართობების გასადიდებლად. წელს მარტო 3 კოლმეურნეობა მოხნავს და ითესავს 320 ჰექტარ ყამირს, მზრალად მოხნავს 268 ჰექტარს.

სოფელ ქვემო ტებერდის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ყ. გაგოშელიშვილი) მზრალად ხვნის გეგმა შეასრულა 50-მდე პროცენტით. ხვნის დღიურ ნორმებს გადამეტებით ასრულებენ ბრიგადები, რომლებსაც დ. გაგაშელიშვილი და გ. ბობეჯიშვილი ხელმძღვანელობენ. სტახანოველურად მუშაობენ კოლმეურნეები ტ. ლობჟანიძე, კ. გობეჯიშვილი, ვ. გაგაშელიშვილი. ისინი დღიურ ნორმებს ხშირად ორმაგად ასრულებენ.

მზრალად ხვნაში დაწინაურდა აგრეთვე სოფელ ზემო ტებერდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ბიჭაშვილი). სწარმოებს ყამირის ხვნაც.

აკ. ჭანკვეტაძე

ჯიშიანი პირუტყვი კოლმეურნეობებს

ქლუხორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში ქლუხორის რაიონში ონის რაიონიდან ჩამოიყვანეს 108 სული მსხვილფეხა ჯიშიანი საქონელი, რომელიც დაურიგდებათ კოლმეურნეობებს ჯიშიანი პირუტყვის ფერმებისათვის.

საქონელი, რომელმაც გადმოიარა ორი უღელტეხილი და გზაში 17 დღე დაჰყო, კარგად არის.

შაქრის ჭარხლის გაღაზიდვას აჩქარებენ

ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა დაიწყეს შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება. პირველმა დღეებმა გამოამჟღავნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მოსავლის აღებას ყველა როდი შეხვდა სათანადოდ მომზადებული. სოფელ წვერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში არამც თუ ბრიგადებმა, არამედ თავმჯდომარე კობესოვმაც არ იცოდა, რომ საჭირო იყო 20 სექტემბრიდან შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების დაწყება.

მოსავალი აღებისთანავე არ მიაქვს ქარხანაში სოფელ ქვენატკოცის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობას. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ მოხისისს და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

ვ. ინასარიძე

ბრძოლები იუგოსლავიაში

უენევა, 26 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ მაკედონიაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქები რესანი და ჯავატო და გერმანელები სამხრეთისაკენ უკუაგდეს.

სერბიაში, ლესკოვაც-ვლასოტინეც-ნიშის სექტორში, გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს გერმანელთა ჯარებთან, რომლებსაც მაშველი ძალები მიუვიდათ. იუგოსლავიელთა ნაწილებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს ნიშ-პიროტის რკინიგზის ხაზი. შუამდინარეში იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს სტრაგარი—დიმნიშენელოვანი კვანძი და დასაყრდენი პუნქტი კრაგუევაც-არანჯელოვაცის ხაზზე. რუდნიკის სამხრეთით იუგოსლავიის ჯარებმა დაიკავეს ვრაჩეშევნიცა — დასაყრდენი პუნქტი გორნი-მილანოვაც-კრაგუევაცის ხაზზე.

აღმოსავლეთ ბოსნიაში ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ დაკავებულია რუდნიკ კაკანი.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 25 სექტემბრის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს აღმოსავლეთით ამ რაიონში, სადაც სოლივით არიან შეჭრილი ეინდჰოფენსა და ნიმეგენს შუა, დაიკავეს ჰელმონდი და დერნე და წინ წაიწიეს რამდენიმე მილით ამ პუნქტების ჩრდილოეთით. ტერნგაუტის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა შეჰქმნეს ხიდწინა სიმაგრე ანტვერპენ-ტერნგაუტის არხზე. აახენის ჩრდილოეთით მდინარე მერტის ხეობამდე მდებარე უბანზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მდინარე მოზელის აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ეპინალი და წინ წაიწიეს რამდენიმე მილით. ბელფორის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა სანსატანკო და ქვეითმა ნაწილებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და რამდენიმე მილით წაიწიეს წინ.

მოკავშირეთა ავიაცია 25 სექტემბერს თავს დაესხა საარტილერიო პოზიციებსა და სიმაგრეებს არნგემის რაიონში.

მძიმე ბომბდამშენებმა მოწინააღმდეგის გამაგრებულ პოზიციებს კალეში 1.000 ტონაზე მეტი ფუგასური ბომბი დააყარეს.

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ფაიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ტერიტორია მდინარეებს — მარეკიასა და რუბიკონს შუა, დასძლიეს მტრის ძლიერი წინააღმდეგობა და რუბიკონზე შეჰქმნეს რამდენიმე გადასასვლელი.

ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქები პალაციუოლო და მარადი, აგრეთვე რამდენიმე მაღლობი, რომლებიც ადგილმდებარეობას დაჰყურებენ.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ მოახდინა 750-მდე თვითმფრინავგაფრენა.

ბრძოლები იუგოსლავიაში

უენევა, 26 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ მაკედონიაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქები რესანი და ჯავატო და გერმანელები სამხრეთისაკენ უკუაგდეს.

სერბიაში, ლესკოვაც-ვლასოტინეც-ნიშის სექტორში, გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს გერმანელთა ჯარებთან, რომლებსაც მაშველი ძალები მიუვიდათ. იუგოსლავიელთა ნაწილებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს ნიშ-პიროტის რკინიგზის ხაზი. შუამდინარეში იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს სტრაგარი—დიმნიშენელოვანი კვანძი და დასაყრდენი პუნქტი კრაგუევაც-არანჯელოვაცის ხაზზე. რუდნიკის სამხრეთით იუგოსლავიის ჯარებმა დაიკავეს ვრაჩეშევნიცა — დასაყრდენი პუნქტი გორნი-მილანოვაც-კრაგუევაცის ხაზზე.

აღმოსავლეთ ბოსნიაში ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ დაკავებულია რუდნიკ კაკანი.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ახალი გამარჯვება

კაირო, 26 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დეპეშთა სააგენტო „ნოვაია იუგოსლავია“ (ტანიუგ) გადმოგვცემს, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესმა შტაბმა გამოაქვეყნა სპეციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ხუთი დღის განფრებული ბრძოლების შემდეგ იუგოსლავიის ჯარებმა დაიკავეს მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მეორე ქალაქი ბოსნიისა—ბანია ლუკა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა ჯარისკაცთა და ოფიცერთა 3.000-მდე გვამი. იუგოსლავიელთა ნაწილების მიერ ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 4.000 ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეთა შორის არის გერმანიის 69-ე დივიზიის მეთაური გენერალი გენტიცი და პაველჩიჩის მე-3 სამთო-მსროლელი ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი მილეტიჩი.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა მანჯურიაზე

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ ცნობა გადასცა, რომ ამერიკის „მფრინავი სიმაგრეები“ დღეს თავს დაესხნენ სტრატეგიულ ობიექტებს მანჯურიაში.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 25 სექტემბერს „მფრინავი სიმაგრისა“ და „ლიბერიტორის“ მარკის 1.200-ზე მეტმა თვითმფრინავმა ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავდასხმა მოახდინა გერმანიაზე. ამერიკის მძიმე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს რამდენიმე დიდ დამხარისხებელ სადგურზე, აგრეთვე სხვა სამხედრო და სამრეწველო ობიექტებზე დასავლეთ გერმანიაში.

25 სექტემბერს საღამოს ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ნავსადგურ დენ-ჰელდერს (ჰოლანდია), სადაც მოწინააღმდეგის 20-მდე გემი იმყოფებოდა. როგორც სჩანს, გერმანელებს ამ ნავსადგურში გადაჰყავთ ინგლისის მე-2 არმიის მიერ ჰოლანდიაში გარშემორტყმული გერმანელთა ჯარები. ინგლისის თვითმფრინავებმა ტორპედები დააყარეს მოწინააღმდეგის გემებსა და ბატარიებს და სროლა აუტეხეს მტრის ობიექტებს.

ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე მოწინააღმდეგის ბატარიებსა და რადიოსადგურებზე.

25 სექტემბერს ღამით ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის ბომბდამშენები თავს დაესხნენ მანჰაიმს.

ფრანკის მოკვლის ცდა

სტოკჰოლმი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „აფტონბლადეტი“ იუწყება, რომ 23 სექტემბერს კრაკოვში მოხდენილ იქნა გერმანელ „გენერალ-გუბერნატორ“ ფრანკის მოკვლის ცდა. მის ავტომანქანას სროლა აუტეხეს პოლონელმა პარტიზანებმა. თვითონ ფრანკი არ დაზარალებულა, მაგრამ კრაკოვის სასამართლოს თავმჯდომარე ბრაუერი, რომელიც მას ახლდა, მძიმედ დაიჭრა.

აჩჩევნების წინ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). სატირთო მანქანათა შოფერების პროფკავშირის სპეციალურმა კონფერენციამ, რომელსაც რუზველტმა თავისი პირველი წინასაარჩევნო სიტყვით მიმართა, მოიწონა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მომავალ არჩევნებში პრეზიდენტის პოსტზე რუზველტის კანდიდატურისათვის მხარდაჭერის შესახებ.

ამ დღეებში ანალოგიური რეზოლუციები მიიღეს მთელმა რიგმა სხვა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის ამერიკის შრომის ფედერაციის (აფტ) ორგანიზაციათა გაერთიანებებმა ნიუ-იორკსა და მინეაპოლისში, მინესოტის შტატის აფტ პროფკავშირთა ყრილობამ, კაუჩუკის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ნაციონალურმა ყრილობამ, რომელიც ნიუ-იორკში შესდგა, და სხვ.

დეპეშები

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა ლიუბლინში

ლიუბლინი, 25 სექტემბერი. (საკდესი). ამ დღეებში ლიუბლინში შესდგა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა, რომელიც ახალი დადასტურებაა პოლონეთის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციისა და ამ ძალების გაერთიანებისა კრაიოვა რადა ნაროდოვას და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის გარშემო.

ამ კონსოლიდაციამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა პოლონეთის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ წარმომადგენელთა სიტყვებში, რომელნიც ყრილობას დესწრნენ, აგრეთვე დელეგატთა გამოსვლებში, რომლებმაც ხაზი გაუსვეს სოლიდარობას პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან და მკვეთრად დაჰგმეს პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა.

პოლიტიკური მოხსენება ყრილობაზე გააკეთა პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარემ ოსუბკა-მორავსკიმ. იგი დაწვრილებით შეჩერდა პოლონეთის ამ უკანასკნელი დროის მთავრობათა საქმიანობაზე. ოსუბკა-მორავსკი შემდეგ შეეხო კრაიოვა რადა ნაროდოვას და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობას. მან აღნიშნა, რომ პოლონელი ხალხის ამ ერთიანმა ეროვნულ-ეროვნულ ორგანოებმა გააჩაღეს ბრძოლა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ და ახლა პოლონეთს აშენებენ.

შეეხო რა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, ოსუბკა-მორავსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთმა საუკუნო მეგობრობა უნდა დამყაროს საბჭოთა კავშირთან და ყველა სლავ ხალხთან.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნავს, რომ კრაიოვა რადა ნაროდოვა, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი და ადგილობრივი ნაციონალური რადები წარმოადგენენ მმართველობის იმ დემოკრატიულ ფორმას, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება პოლონელი ხალხის ნებასურვილს.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტი, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, შეესაბამება პოლონელი ხალხის ყველა მოთხოვნას. ყრილობა სავსებით იწონებს პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელთა საქმიანობას კრაიოვა რადა ნაროდოვასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტში.

რეზოლუციაში ნათქვამია აგრეთვე, — რომ პოლონელი ხალხის მთავარი და დაუძინებელი მტერი არის ჰიტლერული გერმანია და რომ ყრილობას პოლონეთის ხანგრძლივი უშიშროების გარანტიად მიაჩნია პოლონეთის კავშირი სსრ კავშირთან და მეგობრული ურთიერთობა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან. ყრილობამ მხურვალე მადლობა გამოთქვა წითელი არმიისადმი. ამისათვის, რომ იგი დაეხმარა პოლონელ ხალხს, პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ყრილობამ მოუწოდა პოლონელ ხალხს მაქსიმალური დახმარება გაუწიოს პოლონეთის ჯარს და მასობრივად შევიდეს მის რიგებში.

რეზოლუცია ჰგმობს რაჩკევიჩ-სოსნკოვსკის ხროვის დანაშაულებრივ საქმიანობას.

კონფერენციაზე არჩეულია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ გამოიცეს პარტიის ორგანო „ბარიკადა ვოლნოსტი“.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა მარშალ სტალინს, რუზველტს, ჩერჩილს, ბროზ-ტიტოს, ბენეშსა და დე გოლს.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 25 სექტემბრის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს აღმოსავლეთით ამ რაიონში, სადაც სოლივით არიან შეჭრილი ეინდჰოფენსა და ნიმეგენს შუა, დაიკავეს ჰელმონდი და დერნე და წინ წაიწიეს რამდენიმე მილით ამ პუნქტების ჩრდილოეთით. ტერნგაუტის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა შეჰქმნეს ხიდწინა სიმაგრე ანტვერპენ-ტერნგაუტის არხზე. აახენის ჩრდილოეთით მდინარე მერტის ხეობამდე მდებარე უბანზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მდინარე მოზელის აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ეპინალი და წინ წაიწიეს რამდენიმე მილით. ბელფორის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა სანსატანკო და ქვეითმა ნაწილებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და რამდენიმე მილით წაიწიეს წინ.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა მანჯურიაზე

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ ცნობა გადასცა, რომ ამერიკის „მფრინავი სიმაგრეები“ დღეს თავს დაესხნენ სტრატეგიულ ობიექტებს მანჯურიაში.

ბრძოლები იუგოსლავიაში

უენევა, 26 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ მაკედონიაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქები რესანი და ჯავატო და გერმანელები სამხრეთისაკენ უკუაგდეს.

სერბიაში, ლესკოვაც-ვლასოტინეც-ნიშის სექტორში, გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს გერმანელთა ჯარებთან, რომლებსაც მაშველი ძალები მიუვიდათ. იუგოსლავიელთა ნაწილებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს ნიშ-პიროტის რკინიგზის ხაზი. შუამდინარეში იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს სტრაგარი—დიმნიშენელოვანი კვანძი და დასაყრდენი პუნქტი კრაგუევაც-არანჯელოვაცის ხაზზე. რუდნიკის სამხრეთით იუგოსლავიის ჯარებმა დაიკავეს ვრაჩეშევნიცა — დასაყრდენი პუნქტი გორნი-მილანოვაც-კრაგუევაცის ხაზზე.

აღმოსავლეთ ბოსნიაში ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ დაკავებულია რუდნიკ კაკანი.

ინგლისელ-ამერიკელ ავიაციონერთა ბრძოლა

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისელ-ამერიკელ ავიაციონერთა ბრძოლა ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ინგლისელ-ამერიკელ ავიაციონერთა ბრძოლა ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ინგლისელ-ამერიკელ ავიაციონერთა ბრძოლა ინტენსიურ ხასიათს ატარებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის 1944-45 სასწავლო წლისათვის ჩარიცხულთა სია

სამკურნალო ფაკულტეტზე

ალხაზიშვილი ზ. კ., ობაკელია ც. ი., ანდღულაძე ი. გ., ალექსიძე თ. ა., ანთელავა ჯ. ნ., ბოკუჩავა ქ. პ., ბოლქვაძე ე. გ., ბახტაძე მ. ნ., ბუაძე ნ. ი., ბეკანიშვილი ე. ნ., ბითაძე ნ. გ., ბოკორიშვილი ა. შ., ბანცაძე ო. ნ., ბობოხიძე გ. ნ., ბერიძე ნ. ა., ბერიანიძე შ. ა., გრიგოლია ლ. გ., გონაშვილი ქ. ა., გიორგაძე ნ. ვ., გვიაძე მ. ვ., გელოვანი ე. გ., გამრეკლიძე გ. გ., გიორგობიანი ლ. ა., გოგიაშვილი გ. ვ., გაბუნია ბ. ი., გაიდამაშჩუკი თ. გ., გოდერძიშვილი თ. მ., გურგენიძე მ. ვ., გვალია გ. კ., გოგიბედაშვილი მ. ვ., გურგენიძე გ. ლ., დუნდუა ნ. ბ., დადიანი ნ. დ., დევიძე ც. ა., დვალი ლ. გ., დუდუჩავა ლ. დ., დიხამინჯია გ. კ., ეფრემიძე ს. ვ., ვეზაგაშვილი თ. დ., ვაშაკიძე ვ. ი., ვარდოსანიძე ე. შ., ზედგენიძე ს. ა., ზადიკაშვილი ე. გ., ზალდასტანიშვილი ა. ი., თოხაძე ნ. ს., თამაზაშვილი ი. ა., თოფაძე ე. გ., თვალთვაძე დ. მ., თალაკვაძე ნ. გ., კუპრეიშვილი მ. კ., კახიძე ე. ვ., კახეთელიძე ნ. პ., კანდელაკი ლ. ი., კაკაურიძე მ. დ., კვახაძე ნ. პ., კაშია ნ. ვ., კანდელაკი ლ. გ., კობერიძე თ. ბ., კაკაურიძე თ. ნ., კვალიაშვილი ნ. ვ., კალმახელიძე ე. ი., კოპალეიშვილი ც. ხ., კოსტავა ვ. მ., კვირიკაშვილი მ. გ., კარანაძე რ. ლ., კიკაბიძე თ. ს., კეკელია ზ. გ., კაპანაძე ი. გ., კიკნაძე ი. მ., კორძახია თ. პ., კვეზერელი-კოპაძე ა. ნ., კოპალეიშვილი რ. ს., კეკუა პ. გ., ლუხუტაშვილი ლ. კ., ლორია ა. ს., მიქაძე ე. ნ., მაისურაძე ნ. ზ., მესხი მ. დ., მჭედლიშვილი ო. ი., მჭედლიშვილი ი. ვ., მამალაძე მ. ე., მაჩხანელი ლ. ი., მიქაძე ე. ა., მდინარაძე ც. ს., მიქელაძე კ. დ., მითაიშვილი შ. ლ., მეტკვილაძე შ. ვ., მუშკუდიანი თ. ვ., მანტკავა გ. მ., მერიულია ა. გ., მოსიძე ვ. მ., მოისწრაფიშვილი ი. ს., მაქაცარია ლ. ა., მეგრელიშვილი თ. ნ., ნუცუ